საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/149

ქ. ბათუმი 09 აგვისტო, 2023 წ.

,,2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ში შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 02 აგვისტოს N01-02/145 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების,** ბსუ-ს **აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით** დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების,** ,,ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 1 აგვისტოს №01-02/143 ბრძანების, ,,2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის/შიდა მობილობის კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 21 ივლისის №06-01/76 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. *,,2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ში შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 02 აგვისტოს N01-02/145 ბრძანებაში შევიდეს დამატება,** კერძოდ, ბრძანების პირველ პუნქტს **დაემატოს** შემდეგი შინაარსის ,,ო" ქვეპუნქტი:*

ო) ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლის გამო ბსუ-ს სტატუსშეჩერებული სტუდენტების შიდა მობილობის ფარგლებში 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან **სასწავლო პროცესში დაბრუნების პროცედურა განხორციელდეს კონკურსის** (წინაპირობების) **გარეშე:**

ო.1) ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის **,,ტურიზმის მენეჯმენტის"** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები (სტატუსის შეჩერების ბრძანება N01-

08/1054, 16.12.2022) - 2023 წლის 13 ივნისის აკრედიტაციის საბჭოს N686427 გადაწყვეტილებით აკრედიტირებულ **„ტურიზმის მენეჯმენტის“** სამაგისტრო პროგრამაზე;

ო.2) ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„რუსული ფილოლოგიის“** საბაკალავრო პროგრამების სტუდენტები - 2023 წლის 15 თებერვლის აკრედიტაციის საბჭოს N179139 გადაწყვეტილებით აკრედიტირებულ **„სლავური ფილოლოგიის“** საბაკალავრო პროგრამაზე;

ო.3) ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„თურქული ფილოლოგიის“** და **„თურქეთისმცოდნეობის“** საბაკალავრო პროგრამების სტუდენტები - 2023 წლის 15 თებერვლის აკრედიტაციის საბჭოს N179143 გადაწყვეტილებით აკრედიტირებულ **„თურქოლოგიის“** საბაკალავრო პროგრამაზე;

ო.4) ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ფრანგული ფილოლოგიის“** საბაკალავრო პროგრამების სტუდენტები - 2023 წლის 15 თებერვლის აკრედიტაციის საბჭოს N179138 გადაწყვეტილებით აკრედიტირებულ **„რომანული ფილოლოგიის“** საბაკალავრო პროგრამაზე;

ო.5) ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ლინგვისტიკის“** და **„ლიტერატურათმცოდნეობის“** სადოქტორო პროგრამების სტუდენტები (სტატუსის შეჩერების ბრძანება N01-08/420, 04.05.2023) - 2023 წლის 18 აპრილის აკრედიტაციის საბჭოს N427064 გადაწყვეტილებით აკრედიტირებულ **„ფილოლოგიის“** სადოქტორო პროგრამაზე;

2. <u>დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს</u> 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ში შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ ინფორმაციის მომზადება <u>წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით,</u> ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად წარდგენა (<u>web@bsu.edu.ge</u>) ბსუ-ს ვებგვერდზე, ასევე ბსუ-ს ფეისბუქგვერდზე და ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელებს, დეკანის ოფისს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს (ასევე სამსახურებს), საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**